ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისაგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი,

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე ჯგუფებში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება ინვესტიციის გაუფასურებაზე შემოწმება. დივიდენდები ერთობლივ და მეკავშირე ჯგუფებიდან აღიარდება, როცა მტკიცდება ჯგუფის უფლება, მიიღოს აღნიშნული დივიდენდი.

მოგების გადასახადი

ჯგუფია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ ჯგუფებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. სხვაობა არაფულადი შენატანის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იმიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ამონაგების ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი საკურსო სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსები:

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა კონსო უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომლებიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფი არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფს აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც შევიდა ძალაში

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ('ბასსს') მიერ გამოცემული ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის და რომელიც გავლენას ახდენდა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი საბუღალტრო სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის სავალდებულო, ადრე არ არის მიღებული.

ახალი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და ინტერპრეტაციები ჯერ არ არის სავალდებულო ან ადრე მიღებული.

შესწორება ფასს 16 -ში - იჯარა გასაყიდად და უკულიზინგი

ეს ცვლილებები მოიცავს ფასს 16-ში გაყიდვისა და უკულიზინგის ტრანზაქციების მოთხოვნებს, რათა ახსნას, თუ როგორ ითვალისწინებს სუბიექტი გაყიდვას და იჯარის უკულიზინგს ტრანზაქციის თარიღის შემდეგ. გაყიდვა და უკულიზინგის ოპერაციები, სადაც ზოგიერთი ან ყველა იჯარის გადახდა არის ცვლადი გადახდა, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, სავარაუდოდ გავლენის ქვეშ მოექცევა.

ცვლილება ბასს 1-ში - გრძელვადიანი ვალდებულებები შეთანხმებებით

ეს ცვლილებები განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს ვალდებულების პირობები, რომლებიც უნდა შეასრულოს საწარმოო საანგარიშო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში. ცვლილებები ასევე მიზნად ისახავს საწარმოს მიერ მოცემული პირობების დაქვემდებარებულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუმჯობესებას.

ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში - მიმწოდებლის ფინანსები

ეს ცვლილებები მოითხოვს გამჟღავნებას, რათა გაზარდოს მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჭვირვალობა და მათი გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე, ფულადი ნაკადებსა და ლიკვიდობის რისკის ზემოქმედებზე. გამჟღავნების მოთხოვნები არის ბასსს-ის პასუხი ინვესტორების შემფოთებაზე, რომ ზოგიერთი კომპანიის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმება არ არის საკმარისად თვალსაჩინო, რაც ხელს უშლის ინვესტორების ანალიზს.

ცვლილებები ბასს 21-ში - გაცვლითიუნარიანობის სიმწირე

საწარმოზე გავლენას ახდენს ცვლილებები, როდესაც მას აქვს ტრანზაქცია ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც არ კონვერტირდება სხვა ვალუტაში შეფასების თარიღისთვის განსაზღვრული მიზნით. ვალუტა კონვერტირებადია, როდესაც არსებობს სხვა ვალუტის მოპოვების შესაძლებლობა (ჩვეულებრივი ადმინისტრაციული დაგვიანებით) და ტრანზაქცია განხორციელდება ბაზრის ან გაცვლის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც ქმნის აღსრულებად უფლებებსა და ვალდებულებებს.

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

6. შვილობილი კომპანიები და ერთობლივი საწარმოები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“ აქვს ინვესტიციები შემდეგ შვილობილ საწარმოებში:

შვილობილი	მფლობელობა	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შესყიდვის თარიღი
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	100%	საქართველო	7/13/2010	ავტომობ. გაყიდვა	5/21/2015
შპს კავკასუს მოტორსი	100%	საქართველო	2/21/2011	ავტომობ. გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ავტო ცენტრი	100%	საქართველო	20/04/2010	ავტომობ. გაყიდვა	27/11/2017
შპს იბერია ავტო	100%	საქართველო	7/1/2009	ავტომობ. გაყიდვა	10/13/2017
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	75%	საქართველო	9/6/2006	სათად. ნაწ. გაყიდვა	10/13/2017
შპს იტა სერვისი	75%	საქართველო	11/9/2012	უმოქმედო	10/13/2017
შპს იბერმობილი	100%	საქართველო	11/6/2000	უმოქმედო	10/13/2017
შპს ქეი ენდ ვი	99%	საქართველო	1/20/2014	უმოქმედო	1/20/2014
შპს ვი ენდ ქეი	99%	საქართველო	10/27/2016	უმოქმედო	10/27/2016
შპს ავტო სერვის კავკასია	68%	საქართველო	8/25/2008	ავტოსერვისი	1/15/2018

ინვესტიციის მოცულობა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	3,499,454	3,499,454
შპს იბერია ავტო	4,053,423	4,053,423
შპს იბერია ტექ ავტომოტივი	1,184,775	1,184,775
შპს იბერია ავტო ცენტრი	2,550,000	2,550,000
შპს კავკასუს მოტორსი	27,440,904	1,292,165
სულ	38,728,556	12,579,817

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილია შვილობილი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც აღრიცხულია კაპიტალ მეთოდით:

	კავკასიის ავტო ცენტრი	იბერია ტექ ავტომოტივი	იბერია ავტო ცენტრი	იბერია ავტო	კავკასუს მოტორსი	შპს ავტო სერვის კავკასია	იტა სერვისი	იბერმოთილი
	100%	75%	100%	100%	100%	68%	75%	100%
31 დეკემბერი 2023								
აქტივები								
სულ გრძელვადიანი აქტივები	201,720	3,851	31,643,100	77,486	24,699,519	-	1,413,673	-
სულ მიმდინარე აქტივები	654,136	3,079,611	25,868,942	13,510,696	11,316,919	-	672,641	-
სულ აქტივები	855,857	3,083,462	57,512,042	13,588,182	36,016,438	-	2,086,314	-
კაპიტალი და ვალდებულებები								
კაპიტალი								
საწესდებო კაპიტალი	650,485	200	2,200	2,200	26,149,240	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	(5,004,839)	(8,935,672)	28,832,669	(11,554,179)	163,288	-	1,857,638	-
სულ კაპიტალი	(4,354,354)	(8,935,472)	28,834,869	(11,551,979)	26,312,528	-	1,857,638	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,067,117	9,552,385	7,908,531	7,889,803	4,937,785	-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2,143,093	2,466,550	20,768,642	17,250,358	4,766,125	-	228,676	-
სულ ვალდებულებები	5,210,210	12,018,935	28,677,173	25,140,161	9,703,910	-	228,676	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	855,856	3,083,463	57,512,042	13,588,182	36,016,438	-	2,086,314	-

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქვემოთ წარმოდგენილია შვილობილი საწარმოების მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ელემენტები 2023 წლის წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის:

2023 წელი	კავკასიის ავტო ცენტრი	იბერია ტექ ავტომოტივი	იბერია ავტო ცენტრი	იბერია ავტო	კავკასუს მოტორსი	შპს ავტო სერვის კავკასია	იტა სერვისი	იბერმო ბილი
შემოსავალი	452,433	162,605	92,279,894	25,607,163	38,395,847	-	-	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(381,847)	(162,605)	(77,916,493)	(21,352,885)	(29,834,665)	-	-	-
საერთო მოგება	70,586	-	14,363,401	4,254,278	8,561,182	-	-	-
ნეტო საოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)	(323,911)	(1,761,933)	(3,168,103)	(1,328,212)	(1,663,133)	-	(6,497)	-
ნეტო არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)	21,583	(119,053)	1,742,420	(389,264)	(1,934,052)	-	150,270	-
მოგება დაბეგვრამდე	(231,742)	(1,880,986)	12,937,718	2,536,802	4,963,997	-	143,774	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	(27,918)	-	-	-	-
წმინდა მოგება	(231,742)	(1,880,986)	12,937,718	2,508,884	4,963,997	-	143,774	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	(231,742)	(1,880,986)	12,937,718	2,508,884	4,963,997	-	143,774	-
 იბერია ბიზნეს ჯგუფის წილი	 100%	 75%	 100%	 100%	 100%	 68%	 75%	 100%
მოგების წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ საწარმოებში	(231,742)	(1,410,740)	12,937,718	2,508,884	4,963,997	-	107,830	-

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

2023 წლის განმავლობაში შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ დამატებით შეიძინა თავისი მეკავშირე საწარმოს - შპს „კია მოტორს ჯორჯია“-ს 10%-იანი წილი. იმავე პერიოდში კომპანიამ სრულად გაასხვისა შპს „კია მოტორს ჯორჯია“-ში არსებული ჯამში 60%-იანი წილი.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ბალანსი წლის დასაწყისში	7,530,764	5,038,797
მოგება/ზარალის წილი	2,656,796	2,960,339
ინვესტიციის გაუფასურება ერთობლივ საწარმოში	(3,448,307)	-
ინვესტიციების შემცირება ერთობლივ საწარმოში	(6,739,253)	(468,372)
ბალანსი წლის ბოლოს	-	7,530,764

+დასახელება	ძირითადი საქმიანობა	დაფუძნების ქვეყანა	წილი (%)	
			2023	2022
შპს კია მოტორს ჯორჯია	ავტომობილების გაყიდვა	საქართველო	0%	50%

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სულ აქტივები	31,875,000	23,776,298
სულ ვალდებულებები	16,607,000	19,874,784
წმინდა აქტივები	15,268,000	3,901,514
ჯგუფის წილი ერთობლივი საწარმოში	-	1,950,757

	2023	2022
სულ შემოსავალი	56,957,000	45,039,213
სულ მოგება	5,313,592	5,920,677
ჯგუფის წილი ერთობლივი საწარმოს მოგებაში	2,656,796	2,960,339

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

ქართული ლარი	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებ ქონების გაუმჯობესება	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	272,776	569,358	1,502,431	656,125	236,727	3,237,417
შემოსვლა	2,042	30,956	157,159	313,447	66,999	570,603
გასვლა	(32,918)	(10,386)	(133,579)	(45,809)	(31,911)	(254,603)
მარაგებიდან გადმოტანა	-	4,312	-	128,253		132,565
2022 წლის 31 დეკემბერი	241,900	594,240	1,526,011	1,052,016	271,815	3,685,982
შემოსვლა	7,288	13,723	252,918	361,217	165,960	801,105
გასვლა	(27,428)	(57,756)	(307,327)	(183,241)	(26,163)	(601,914)
2023 წლის 31 დეკემბერი	221,760	550,208	1,471,602	1,229,992	411,612	3,885,174
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	14,017	465,378	1,139,338	457,468	104,996	2,181,197
წლის ცვეთა	6,492	34,058	115,540	61,414	23,975	241,479
2022 წლის 31 დეკემბერი	20,509	499,436	1,254,878	518,882	128,971	2,422,676
წლის ცვეთა	2,193	36,505	95,072	131,782	41,253	306,805
გასვლა	(10,126)	(43,855)	(295,096)	(72,443)	-	(421,521)
2023 წლის 31 დეკემბერი	12,576	492,086	1,054,854	578,221	170,224	2,307,960
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	258,759	103,980	363,093	198,657	131,731	1,056,220
2022 წლის 31 დეკემბერი	221,391	94,804	271,133	533,134	142,844	1,263,306
2023 წლის 31 დეკემბერი	209,184	58,122	416,748	651,771	241,388	1,577,213

ჯგუფის ძირითადი საშუალებები საანგარიშგებო პერიოდისთვის სრულად დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად. ცვეთის ხარჯი აღრიცხულია ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 21).

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ავტომობილები	7,204,392	2,355,929
სათადარიგო ნაწილები	2,949,393	2,084,522
მასალები	7,631	-
სხვა	20,884	24,214
სულ მარაგები	10,182,300	4,464,665

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღიარებული მარაგის ხარჯი არის 128,568,064 (2022: 134,108,204 ლარი) (იხ შენიშვნა 20).

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნები სათადარიგო ნაწილების რეალიზაციიდან	6,968,398	2,340,632
მოთხოვნები ავტომობილების რეალიზაციიდან	5,926,293	3,933,155
მოთხოვნები ავტომობილებზე გაწეული მომსახურებიდან	1,051,893	1,359,304
მოთხოვნები ავტომობილების მწარმოებლებზე გაწეული საგარანტიო მომსახურებიდან	271,551	22,030
მოთხოვნები საკონსულტაციო მომსახურებებიდან	-	4,637
სხვა მოთხოვნები	951,576	1,083,910
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,921,535)	(2,035,805)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,248,177	6,707,863

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენიარად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ზარალის რეზერვი 1 იანვრისთვის	2,035,805	2,034,057
წლის განმავლობაში აღიარებული ზარალის რეზერვი	1,105,114	1,520,099
წლის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	(1,219,384)	(1,518,351)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	1,921,535	2,035,805

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ვალუტების მიხედვით ასახულია შენიშვნა 28 (ა).

10. აქტივის გამოყენების უფლება

	შენიშვნები	სულ
ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,810,967	2,810,967
შესვლა	1,142,323	1,142,323
გასვლა	(1,000,408)	(1,000,408)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,952,882	2,952,882
შესვლა	-	-

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

გასვლა	(364,180)	(364,180)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,588,702	2,588,702

დაგროვილი ცვეთა		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	834,011	834,011
წლის ცვეთა	419,946	419,946
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,253,957	1,253,957
წლის ცვეთა	444,429	444,429
გასვლა	(158,915)	(158,915)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,539,471	1,539,471

საბალანსო ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,976,956	1,976,956
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,698,925	1,698,925
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,049,231	1,049,231

11. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	11,610,631	14,855,643
სხვა	514,571	373,184
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(139,938)	-
სულ გადახდილი ავანსები	11,985,264	15,228,827

"მომწოდებლებზე გაცემული ავანსების" უდიდეს ნაწილს როგორც საანგარიშგებო ისე შესადარის პერიოდში წარმოადგენს "კავკასუს მოტორსისა" და "იბერია ავტო ცენტრის", შესაბამისად, აუდისა და მიცუბიშისათვის გადახდილი ავანსები ავტომატურად, რასაც საანგარიშგებო პერიოდში ასევე ემატება "იბერია ავტოს" მიერ ვოლკსვაგენისათვის გადახდილი ავანსები ავტონაწილების შესყიდვის მიზნით.

"სხვა" გადახდილი ავანსების უდიდეს ნაწილს როგორც საანგარიშგებო ისე შესადარის პერიოდში წარმოადგენს გახანგრძლივებული გარანტიის ღირებულება გაყიდული ავტომატებისათვის

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

12. დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები

სესხის გამცემი	სესხის მიმღები	დასახელება	ვალუტა	გაც- თარიღი	დაფ- თარიღი	პროცენტი	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ლარი	1/1/2007	12/31/2024	20.00%	4,392,862	4,287,324
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ტარიელ ხეჩიკაშვილი	პროცენტი	ლარი	2/8/2008	1/1/2012	20.00%	1,229,383	1,069,204
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს მეგა მოტორს	პროცენტი	ლარი	9/12/2007	9/12/2008	15.00%	1,065,302	1,065,302
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ნიუ ინვესტ კომპანი	ძირი	ლარი	3/7/2022	12/31/2027	11.00%	961,612	558,112
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ტარიელ ხეჩიკაშვილი	ძირი	ლარი	2/8/2008	1/1/2012	20.00%	800,894	800,894
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს მეგა მოტორს	ძირი	ლარი	9/12/2007	9/12/2008	15.00%	587,149	587,149
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	9/11/2023	9/8/2024	13.00%	537,880	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	1/1/2007	12/31/2024	20.00%	527,687	527,687
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს სპორტ სალერ ცენტრი	პროცენტი	ლარი	12/20/2012	12/31/2013	20.00%	481,901	429,061
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს სპორტ ინვესტი	პროცენტი	ლარი	2/24/2016	1/1/2028	20.00%	285,903	237,421
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	6/29/2023	8/31/2023	9.00%	267,777	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს სპორტ სალერ ცენტრი	ძირი	ლარი	12/20/2012	12/31/2013	20.00%	264,200	264,200
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს სპორტ ინვესტი	ძირი	ლარი	2/24/2016	1/1/2028	20.00%	242,405	242,405
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	7/1/2022	12/31/2024	9%	193,395	187,486
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	8/14/2023	11/14/2023	9.00%	193,395	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	10/11/2023	9/8/2024	13.00%	188,258	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	11/10/2023	9/8/2024	13.00%	180,190	-
შპს იბერია ავტო	შპს ნიუ ინვესტ კომპანი	ძირი	ლარი	7/1/2022	12/31/2028	14%	166,400	166,400
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	7/28/2023	10/31/2023	9.00%	148,765	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	10/27/2023	9/8/2024	13.00%	142,538	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	7/20/2022	12/31/2024	15.50%	130,000	130,000
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	8/12/2022	12/31/2024	16.00%	125,000	125,000
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	10/3/2023	9/8/2024	13.00%	121,023	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ნიუ ინვესტ კომპანი	პროცენტი	ლარი	3/7/2022	12/31/2027	11.00%	116,517	25,835
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს იტა	ძირი	ლარი	7/29/2021	12/31/2028	20.00%	100,000	100,000
შპს კავკასუს ავტო ცენტრი	საფეხბურთო სკოლა საბურთალო	ძირი	ლარი	12/14/2021	12/31/2024	15%	100,000	100,000
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	8/30/2022	12/31/2024	9%	74,383	72,110
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საერთაშორისო სალიზინგო კომპანია	ძირი	ლარი	4/26/2022	12/31/2028	11%	55,700	11,600
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს იტა	პროცენტი	ლარი	7/29/2021	12/31/2028	20.00%	48,548	28,548

**შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ლარი	9/29/2023	9/8/2024	13.00%	40,341	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	7/5/2024	12/31/2024	9%	29,753	28,844
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	9/8/2022	12/31/2024	9%	29,753	28,844
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	ძირი	ევრო	8/3/2023	4/10/2023	9.00%	29,753	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ლარი	7/20/2022	12/31/2024	15.50%	29,259	10,655
შპს იბერია ავტო	შპს ნიუ ინვესტ კომპანი	პროცენტი	ლარი	7/1/2022	12/31/2028	14%	29,032	3,813
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ლარი	8/12/2022	12/31/2024	16.00%	27,781	7,781
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს რეინვესტი	ძირი	ლარი	7/1/2023	12/31/2024	14.00%	27,165	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	გოგიშვილი კახა	პროცენტი	ლარი	11/15/2016	1/1/2018	23.00%	26,961	26,961
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	7/1/2022	12/31/2024	9%	26,180	8,506
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ლარი	9/11/2023	9/8/2024	13.00%	23,604	-
შპს კავკასუს ავტო ცენტრი	შპს "საფეხბურთო კლუბი საბურთალო"	პროცენტი	ლარი	12/14/2021	12/31/2024	15%	22,363	7,362
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	6/29/2023	8/31/2023	9.00%	12,281	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	8/30/2022	12/31/2024	9%	8,969	2,205
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	8/14/2023	11/14/2023	9.00%	6,676	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	7/28/2023	10/31/2023	9.00%	5,759	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	7/5/2024	12/31/2024	9%	3,998	1,280
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	9/8/2022	12/31/2024	9%	3,521	818
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს საერთაშორისო სალიზინგო კომპანია	პროცენტი	ლარი	4/26/2022	12/31/2028	11%	2,645	864
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ეკატერინე ინასარიძე	ძირი	ლარი	7/20/2018	12/31/2024	7.00%	1,679	1,113
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს რეინვესტი	პროცენტი	ლარი	7/1/2023	12/31/2024	14.00%	1,194	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	4/24/2023	6/30/2023	9.00%	1,155	-
შპს იბერია ავტო	შპს საფეხბურთო კლუბი საბურთალო	პროცენტი	ევრო	8/3/2023	4/10/2023	9.00%	1,108	-
სულ							14,119,995	11,144,785

ყველა სესხი გაცემულია ქართულ ლარში, დაკავშირებულ მხარეებზე და არის არაუზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს დარიცხული პროცენტების დაფარვის ვადაგადაცილებასთან დაკავშირებულ საურავებს, შესაბამისად, ჯგუფი უპირველესად იღებს გაცემული სესხების ძირის დასაფარ თანხებს, მისაღები პროცენტები კი ჯგუფის ბალანსზე შესაძლოა დარჩეს მაშინაც კი, როცა გაცემული სესხის ძირი სრულად დაფარულია. ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ისეთი მისაღები პროცენტები რომელთა ნაშთები 2023 და 2022 წლის ბოლო მდგომარეობით შეადგენს ერთსა და იმავე თანხას. მსგავსი პროცენტები წარმოადგენს იმ სესხებზე დარიცხული პროცენტების ჯამს, რომელთა ძირებიც სრულად დაფარულია და ჯგუფს შეწყვეტილი აქვს მათზე პროცენტების დარიცხვა. განახლებული

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შეთანხმების საფუძველზე ცხრილში მოცემული ვადაგასული სესხების ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად დაფარვის საბოლოო თარიღია 2027 წლის 31 დეკემბერი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ გაცემული სესხები შეადგენს 6,267 ათას ლარს და მისაღები პროცენტები 7,853 ათას ლარს. ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები შეადგენს 3,932 ათას ლარს და მისაღები პროცენტები 7,213 ათას ლარს. ამრიგად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მისაღები პროცენტების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში შეადგენს შესაბამისად 56% და 65%-ს.

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

13. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნადდი ფული სალაროში	10,159	16,466
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,070,601	3,784,392
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	533,377	8,763,520
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	5,614,137	12,564,379

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გადასახდელი პერსონალისთვის	3,859,889	2,615,630
მარაგებთან დაკავსირებული ვალდებულებები	2,471,243	1,340,134
საიჯარო ვალდებულებები (საიჯარო გადასახადები)	16,007	1,133,542
სხვა	2,213,985	4,123,862
სულ სავაჭრო ვალდებულებები	8,561,123	9,213,168

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულება წარმოადგენს შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ მიერ პოტენციური ინვესტორისგან მიღებულ ავანსს შვილობილი კომპანიის წილისათვის, მაგრამ შეთანხმება საბოლოოდ არ დასრულებულა და 2022 წელში მოცემული თანხის უდიდესი ნაწილი 1,742,938 ლარის ოდენობით წარმოადგენდა ფინანსურ ვალდებულებას პოტენციური ინვესტორის მიმართ, რომელიც 2023 წლის განმავლობაში სრულად დაიფარა და მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში მოცემული სხვა სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი იხილეთ შენიშვნა 28 (ა) მეტი ინფორმაციისათვის ჯგუფის უცხოური ვალუტის რისკზე.

15. იჯარა

საიჯარო ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე	349,427	478,694
გრძელვადიანი	850,377	1,539,154
სულ იჯარა	1,199,804	2,017,848

საიჯარო ვალდებულებების დეტალური მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ:

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ნაშთი 1 იანვრისთვის	2,017,848	2,608,089
ახალი იჯარის დამატება	35,099	1,125,566
მოდIFIკაცია	(439,691)	(802,867)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	145,375	198,310
საიჯარო ვალდებულების გადახდა	(640,716)	(775,963)
საკურსო სხვაობა	81,890	(335,287)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,199,805	2,017,848

ჯგუფს აქვს იჯარით აღებული შენობები. მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის გარდა, თითოეული იჯარა წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად, როგორიცაა საიჯარო გადასახადები ჯგუფის გაყიდვების პროცენტული მაჩვენებლის საფუძველზე), გამოირიცხება საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის საწყისი შეფასებიდან. ჯგუფი ახდენს აქტივის გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად (იხ. შენიშვნა 10).

თუკი არ არსებობს სხვაგვარი საკონტრაქტო ულება, თითოეული იჯარა შეიცავს შეზღუდვას, იჯარის ობიექტის ქვეიჯარით გაცემის თაობაზე, აქტივის გამოყენების უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ჯგუფს. იჯარის შეწყვეტა არ არის ნებადართული, ან ასეთ შემთხვევაში ხდება შეწყვეტის საფასურის დაკისრება. ჯგუფს ეკრძალება გაყიდოს ან გირაოს სახით გამოიყენოს იჯარით აღებული აქტივები.

საიჯარო გადახდები რომლებიც არ აღიარდა ვალდებულებად

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (იჯარა მოსალოდნელი ვადით 12 თვე ან ნაკლები) ან დაბალი ღირებულების აქტივების იჯარისთვის. ასეთი იჯარით განხორციელებული გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით. გარდა ამისა, გარკვეული ცვლადი საიჯარო გადახდებისთვის არ არის ნებადართული იჯარის ვალდებულებად აღიარება და ირიცხება წარმოებისას.

ხარჯები დაკავშირებული გადახდებთან, რომლებიც არ მიეკუთვნება საიჯარო ვალდებულებებს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოკლევადიანი იჯარა	16,007	1,133,542

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

16. დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები

სესხის მიმღები	სესხის გამცემი	ძირი/პროცენტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	პროცენტი	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	ძირი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	67,098,499	51,762,605
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	პროცენტი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	46,289,450	28,784,755
შპს იბერია ავტო ცენტრი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	ძირი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	5,368,022	5,368,022
შპს იბერია ავტო ცენტრი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	პროცენტი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	3,645,406	3,006,611
შპს იბერია ავტო ცენტრი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	ძირი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	3,222,014	3,222,014
შპს იბერია ავტო ცენტრი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	პროცენტი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	2,013,721	1,630,301
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ეკატერინე ინასარიძე	ძირი	დოლარი	7/20/2018	12/31/2024	7.00%	1,821,456	1,897,012
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს კრეს ავტო ჰაუსი	ძირი	ლარი	1/1/2009	1/1/2019	19.50%	1,328,063	1,328,063
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს კრეს ავტო ჰაუსი	პროცენტი	ლარი	1/1/2009	1/1/2019	19.50%	934,167	934,167
შპს ავტო სერვის კავკასია	ტარიელ ხეჩიკაშვილი	პროცენტი	დოლარი	9/29/2015	12/31/2025	11.60%	309,992	309,992
შპს იბერია ავტო ცენტრი	დავით ფერაძე	ძირი	დოლარი	11/18/2020	12/31/2023	10.00%	306,592	308,028
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	დავით ფერაძე	ძირი	დოლარი	11/18/2020	12/31/2023	10.00%	160,019	160,769
შპს კავკასუს მოტორსი	დავით ფერაძე	ძირი	დოლარი	11/11/2020	12/31/2023	10.00%	96,818	97,272
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	პროცენტი	ლარი	12/31/2018	12/31/2028	11.50%	87,166	149,496
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	ტარიელ ხეჩიკაშვილი	ძირი	დოლარი	5/22/2020	5/22/2024	10.60%	84,771	275,535
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	ძირი	ევრო	2/24/2022	12/31/2028	6.50%	74,383	72,110
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	ძირი	ევრო	10/4/2021	12/31/2028	6.50%	60,424	58,578
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	პროცენტი	ევრო	10/4/2021	12/31/2028	6.50%	16,560	12,246
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	პროცენტი	ევრო	2/24/2022	12/31/2028	6.50%	8,901	3,942
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს კრეს ავტო ჰაუსი	პროცენტი	ლარი	1/1/2009	1/1/2019	19.50%	8,246	8,246
შპს კავკასუს მოტორსი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	პროცენტი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	-	9,523,137
შპს კავკასუს მოტორსი	შპს აი-ბი-ჯი ჰოლდინგი	ძირი	ლარი	1/22/2020	12/31/2027	11.90%	-	15,610,644
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	დავით გოგორიშვილი	ძირი	დოლარი	4/15/2019	12/31/2023	9.00%	-	1,351,000
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	ძირი	ლარი	12/31/2018	12/31/2028	11.50%	-	1,292,109
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს რეინვესტი	ძირი	ლარი	2/1/2019	12/31/2023	11.00%	-	382,500
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ნიუ ინვესტ კომპანი	პროცენტი	ლარი	2/1/2019	12/31/2023	11.00%	-	233,297
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს რეინვესტი	პროცენტი	ლარი	2/1/2019	12/31/2023	11.00%	-	168,700
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	ძირი	ლარი	1/24/2022	12/31/2027	13.00%	-	73,500
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	შპს ავტო ცენტრი თბილისი	პროცენტი	ლარი	1/24/2022	12/31/2027	13.00%	-	8,848
შპს კავკასუს მოტორსი	გიორგი ამაშუკელი	პროცენტი	ლარი	7/5/2019	7/31/2019	7.30%	-	227
სულ							132,934,670	128,033,727

**შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს დარიცხული პროცენტების დაფარვის ვადაგადაცილებასთან დაკავშირებულ საურავებს, შესაბამისად, სესხის აღების შემთხვევაში ჯგუფი უპირველესად იხდის აღებული სესხების ძირის, გადასახდელი პროცენტები კი ჯგუფის ბალანსზე შესაძლოა დარჩეს მაშინცა კი, როცა მიღებული სესხის ძირი სრულად დაფარულია.

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ისეთი გადასახდელი პროცენტები რომელთა ნაშთები 2023 და 2022 წლის ბოლო მდგომარეობით შეადგენს ერთსა და იმავე თანხას. მსგავსი პროცენტები წარმოადგენს იმ სესხებზე დარიცხული პროცენტების ჯამს, რომელთა ძირებიც სრულად დაფარულია და ჯგუფს შეწყვეტილი აქვს მათზე პროცენტების დარიცხვა. განახლებული შეთანხმების საფუძველზე ცხრილში მოცემული ვადაგასული სესხების ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტების სრულად გადახდის საბოლოო თარიღია 2027 წლის 31 დეკემბერი.

საანგარიშგებო პერიოდში გაფორმდა ოთხმხრივი ხელშეკრულება შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“, შპს აი-ბიჯი ჰოლდინგს“, შპს „კავკასუს მოტორსსა“ და შპს „იბერია ავტო ცენტრს“ შორის, რომლის მიხედვითაც შპს „აი-ბიჯი ჰოლდინგი“ და შპს „იბერია ავტო ცენტრი“ უთმობენ თავის ფულად მოთხოვნას (რომელიც მათ გააჩნდათ შპს „კავკასუს მოტორსის“ მიმართ) შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“, ხოლო შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“ იღებს აღნიშნულ მოთხოვნას, რის შედეგადაც შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფს“ წარმოეშობა შემდეგი ფულადი ვალდებულებები: 25,143,959 ლარის ოდენობით შპს „აი-ბი-ჯი ჰოლდინგის“ მიმართ, ხოლო 8,209,515 ლარის ოდენობით შპს „იბერია ავტო ცენტრის“ მიმართ. თავის მხრივ შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ მოთხოვნა შპს „კავკასუს მოტორსის“ მიმართ აღიარა, როგორც კაპიტალში შენატანი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ მიღებული სესხები შეადგენს 79,621 ათას ლარს და გადასახდელი პროცენტები 53,314 ათას ლარს. ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები შეადგენს 67,649 ათას ლარს და გადასახდელი პროცენტები 60,385 ათას ლარს. ამრიგად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი პროცენტების ხვედრითი წილი მთლიან სესხებში შეადგენს შესაბამისად 40% და 47%-ს. ჯგუფის საპროცენტო რისკისა და უცხოური ვალუტის რისკის გამოვლინებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 28.

17. საბანკო სესხები

სესხის მიმღები	სესხის გამცემი	ძირი/პროცენტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	პროცენტი	31 დეკ. 2023	31 დეკ. 2022
შპს იბერია ავტო ცენტრი	იშ ბანკი	ძირი	ევრო	6/20/2023	6/20/2024	9.50%	2,437,772	-
შპს კავკასუს მოტორსი	იშ ბანკი	ძირი	დოლარი	11/30/2023	11/25/2024	11.50%	2,130,571	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	11/3/2023	5/5/2025	12.58%	1,599,733	-
შპს კავკასუს მოტორსი	ქართუ ბანკი	პროცენტი	დოლარი	1/22/2020	2/27/2026	10.50%	1,427,986	1,989,300
შპს იბერია ავტო ცენტრი	პაშა ბანკი	ძირი	დოლარი	11/4/2022	9/9/2024	5.95%	1,344,700	1,351,000
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	9/8/2023	2/1/2024	13.00%	1,251,545	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	1/5/2023	1/5/2026	12.00%	974,909	-
შპს კავკასუს მოტორსი	იშ ბანკი	ძირი	დოლარი	6/26/2023	6/26/2024	11.50%	749,739	-

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

შპს კავკასუს მოტორსი	იმ ბანკი	ძირი	დოლარი	7/27/2023	7/29/2024	11.50%	453,065	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	12/15/2023	2/17/2025	11.17%	378,603	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	12/15/2023	12/16/2024	12.67%	233,050	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	2/10/2023	2/12/2024	12.93%	230,627	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბზ ლიზინგი*	ძირი	დოლარი	6/7/2022	5/7/2027	16.00%	164,744	164,744
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	ძირი	ევრო	5/11/2023	5/13/2024	11.00%	84,776	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	პროცენტი	დოლარი	2/10/2023	5/5/2025	12.34%	12,319	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბაზის ბანკი	პროცენტი	დოლარი	9/8/2023	2/1/2024	13.00%	10,379	-
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბაზის ბანკი	პროცენტი	დოლარი	1/5/2023	1/5/2026	12.00%	8,400	-
შპს იბერია ავტო ცენტრი	პაშა ბანკი	პროცენტი	ევრო	11/4/2022	9/9/2024	5.95%	7,317	5,582
შპს იბერია ავტო ცენტრი	იმ ბანკი	პროცენტი	ევრო	6/20/2023	6/20/2024	9.50%	6,785	-
შპს კავკასუს მოტორსი	იმ ბანკი	პროცენტი	დოლარი	6/26/2023	11/25/2024	11.50%	2,419	-
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	პროცენტი	ევრო	5/11/2023	5/13/2024	11.00%	514	-
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	პროცენტი	ლარი	9/12/2022	3/11/2024	16.00%	-	3,282,487
შპს კავკასუს მოტორსი	ვითიბი ბანკი	პროცენტი	ლარი	10/28/2021	3/1/2024	15.50%	-	1,453,042
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს საქართველოს ბანკი	ძირი	დოლარი	8/23/2013	9/25/2024	10.00%	-	1,016,390
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	ძირი	ევრო	11/28/2022	11/28/2023	11.00%	-	505,338
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	6/6/2022	6/6/2023	11.00%	-	491,082
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	4/26/2022	4/26/2023	11.00%	-	482,351
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	12/23/2022	12/23/2023	11.00%	-	408,002
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	3/23/2022	3/23/2023	11.00%	-	364,064
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	ძირი	ევრო	11/7/2022	11/7/2023	11.00%	-	257,485
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	6/6/2022	10/30/2023	11.00%	-	210,131
შპს კავკასუს მოტორსი	ბაზის ბანკი	ძირი	დოლარი	11/18/2022	11/20/2023	12.59%	-	143,403
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს ბზ ლიზინგი*	პროცენტი	დოლარი	6/7/2022	5/7/2027	16.00%	-	34,575
შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი	სს საქართველოს ბანკი	პროცენტი	დოლარი	8/23/2013	9/25/2024	10.00%	-	1,392
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	პროცენტი	ევრო	11/28/2022	11/28/2023	11.00%	-	463
შპს იბერია ავტო ცენტრი	ბაზის ბანკი	პროცენტი	ევრო	11/7/2022	11/7/2023	11.00%	-	157
სულ							13,509,952	12,160,990

* სს „ბზ ლიზინგისგან“ მიღებული სესხს საფუძვლად უდევს ლიზინგის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს იბერია ბიზნეს ჯგუფმა შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა აუდი A8.

ჯგუფის საპროცენტო რისკისა და უცხოური ვალუტის რისკის გამოვლინებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 28.

18. მიღებული ავანსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ავანსები ავტომობილებისთვის	11,212,866	24,235,036
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	2,247,687	558,844
ავანსები გაწეული მომსახურებისთვის	999,850	1,001,287
სხვა	261,487	861,152
სულ მიღებული ავანსები	14,721,890	26,656,319

ჯგუფს მნიშვნელოვანი რაოდენობის მიღებული ავანსები აქვს ავტომობილებისთვის, რადგანაც ჯგუფი დიდი კონტრაქტებისთვის (მაგალითად ავტომობილების მიწოდება სამინისტროებისთვის, სხვა სახელმწიფო ორგანოებისთვის ან დიდი კორპორატიული კლიენტებისთვის) როგორც წესი ჯერ იღებს თანხას კლიენტებისგან და ამის შემდეგ ახდენს ავტომობილის მიწოდებას.

19. შემოსავალი

	2023	2022
ავტომობილების რეალიზაცია	107,045,441	96,522,021
სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია	46,727,879	57,456,319
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	2,612,025	1,659,441
საიჯარო შემოსავალი	452,433	779,582
სხვა	13,542	64,597
სულ შემოსავალი	156,851,321	156,481,960

წლების განმავლობაში იბერია ბიზნეს ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ავტომობილების რეალიზაცია, თუმცა 2022 წლიდან კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა, ავტომობილების გაყიდვა. ვინაიდან აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის საჭირო დანახარჯების შემცირება პროპორციული სიჩქარით ვერ მოხერხდებოდა კომპანიამ დაიწყო ხარჯების თანდათანობით ოპტიმიზაცია და ამ პროცესის დასრულებას გეგმავს მომდევნო პერიოდებში.

ჯგუფის მთლიანი შემოსავლების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია იბერია ბიზნეს ჯგუფის შვილობილი კომპანიის „შპს იბერია ავტო ცენტრის“ მიერ 2023 წელს კომპანია შპს "ჰანდლერ კორპორეიშენ"-სა და ფიზიკურ პირებთან ავტომობილების რეალიზაციის 28% -ანი ზრდით.

20. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	90,795,896	83,391,128
გაყიდული სათადარიგო ნაწილების თვითღირებულება	37,772,168	50,717,076
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	1,361,258	674,791
სულ თვითღირებულება	129,929,322	134,782,995

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯები	8,322,023	7,515,866
ცვეთა და ამორტიზაცია	755,897	752,027
იჯარის ხარჯი	111,870	268,147
სადაზღვევო ხარჯი	96,534	229,704
საბანკო ხარჯი	177,453	215,791
კომუნალური ხარჯი	200,257	200,656
საკონსულტაციო მომსახურება	220,930	136,808
ტრანსპორტირების ხარჯი	27,899	-
უსაფრთხოება	109,481	67,230
საკომუნიკაციო ხარჯი	45,327	60,135
საწვავის ხარჯი	57,758	46,571
კომპიუტერის ხარჯი	9,059	-
რემონტი და ტექმომსახურება	21,878	28,621
მივლინების ხარჯი	22,364	21,619
საკანცელარიო ხარჯი	2,211	4,577
სხვა	526,355	901,778
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	10,707,295	10,449,530

22. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

	2023	2022
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯი	581,624	180,925
გაყიდული ავტომობილების გადაფორმების ხარჯი	421,230	124,087
ტრანსპორტირება	74,492	85,450
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	739
სულ დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	1,077,346	391,201

23. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები, წმინდა

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული მხარეების სესხებიდან	(9,465,796)	(11,696,966)
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხებიდან	(2,028,246)	(3,675,000)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ხელშეკრულებაზე	(120,761)	(182,003)
სხვა საპროცენტო ხარჯები	(17,333)	(58,583)
სულ ფინანსური ხარჯი	(11,632,136)	(15,612,552)
დაკავშირებული მხარეების სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	618,362	647,084
სხვა სესხებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი	193,506	124,389
საპროცენტო შემოსავალი მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტებიდან	110,825	76,118
სულ ფინანსური შემოსავალი	922,693	847,591
წმინდა ფინანსური ხარჯი	(10,709,443)	(14,764,961)

24. სხვა შემოსავალი

	2023	2022
ვალდებულებების ჩამოწერა	1,611,510	1,396,797
ფასდათმობა	532,510	7,782
მწარმოებლების მიერ ანაზღაურებული საგარანტიო ხარჯები	382,687	262,642
შემოსავალი გამოუყენებელი საგარანტიო მომსახურებიდან	47,609	-
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	40,332	4,000
საიჯარო შემოსავალი	19,150	18,044
სხვა შემოსავლები	822,898	1,243,440
სულ სხვა შემოსავალი	3,456,696	2,932,705

25. სხვა ხარჯები

	2023	2022
მოთხოვნების ჩამოწერა	857,671	780,799
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	670,724	452,714
ჯარიმები	457,989	59,415
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	229,601	251,859
გაწეული საგარანტიო ხარჯები	215,852	344,916
წილების შესყიდვაზე გადახდილი ავანსების ჩამოწერა	-	586,400
სხვა	441,043	503,347
სულ სხვა ხარჯები	2,872,881	2,979,450

*შვილობილი საწარმოების წილების შესყიდვაზე გადახდილი ავანსების ჩამოწერა - იბერია ბიზნეს ჯგუფმა 2020 წელს შპს „რიჩარდ სელერს“ წილის შესასყიდად გადაუხადა ავანსი. 2022 წლისთვის კომპანიას მიენიჭა „გაუქმებულის“ სტატუსი, შესაბამისად იბერია ბიზნეს ჯგუფმა გადაწყვიტა აღნიშნული ავანსის ჩამოწერა.

26. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა

	2023	2022
საკურსო მოგება	956,261	2,797,036
საკურსო ზარალი	(667,023)	(878,462)
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა	289,238	1,918,574

27. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

**შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

მენეჯმენტი თვლის, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არის არსებითი სხვაობა.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები
ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულის ექვივალენტები	5,614,136	12,564,379
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,248,176	6,707,863
გაცემული სესხები	14,119,995	11,197,785
სულ ფინანსური აქტივები	32,982,307	30,470,027

ფინანსური ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ამორტიზებული ღირებულება		
გრძელვადიანი სესხები	119,528,578	100,377,805
მოკლევადიანი სესხები	26,916,044	39,816,912
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,561,124	9,213,168
საიჯარო ვალდებულებები	1,199,804	2,017,848
სულ ფინანსური ვალდებულებები	156,205,550	151,425,733

28. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროსო სხვაობების რისკი. ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში.

უცხოური ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ჯგუფიას საკუროსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	270,969	2,494,436
გადახდილი ავანსი	5,341,118	4,767,287
გაცემული სესხები	-	838,496
საბანკო ანგარიშები	154,626	359,532
სულ ფინანსური აქტივები	5,766,712	8,459,751
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	13,044,017	3,173,905
საიჯარო ვალდებულებები	531,070	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,489,373	144,675
სულ ფინანსური ვალდებულებები	17,064,460	3,318,580
წმინდა პოზიცია	(11,297,748)	5,141,170

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი		
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,162	271,429
გაცემული სესხები	-	756,568
საბანკო ანგარიშები	6,874,364	1,547,171
სულ ფინანსური აქტივები	6,882,526	2,575,168
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	8,456,808	1,351,266
საიჯარო ვალდებულებები	1,157,593	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,384,976	141,564
სულ ფინანსური ვალდებულებები	13,999,377	1,492,830
წმინდა პოზიცია	(7,116,851)	1,082,338

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15% (2023: 15%) კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 15% (2023: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2023: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარის 15%-ით გამყარების გავლენა დოლართან და ევროსთან მიმართების:

	აშშ დოლარის გავლენა	
	2023	2022
ფინანსური აქტივები	865,007	1,032,379
ფინანსური ვალდებულებები	(2,559,669)	(2,099,907)
მოგება/ზარალი	(1,694,662)	(1,067,528)

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	ევროს გავლენა	
	2023	2022
ფინანსური აქტივები	1,268,963	386,275
ფინანსური ვალდებულებები	(497,787)	(223,925)
მოგება/ზარალი	771,176	162,350

სავალუტო კურსების სხვაობების გამოვლინებები წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს სავალუტო რისკის პოზიციას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ისეთი სახის რისკს, რომლის ცვლილებამაც საბაზრო საპროცენტო განაკვეთში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. იმდენად რამდენადაც ჯგუფი არ აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალდებულებები, მენეჯმენტს სჯერა რომ ჯგუფი დაცულია მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკისგან.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ჯგუფის მიზნებისთვის, ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში.

ჯგუფი არ ფლობს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სავაჭრო მოთხოვნები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო მოთხოვნის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, ვინაიდან ეს მუხლები არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ერთობლივად, ვინაიდან ისინი ფლობენ მსგავს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს. ისინი დაჯგუფებულ იქნენ განვლილი დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე 2022 წლის 31 დეკემბრამდე და 2022 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, ასევე შესაბამისი განვლილი საკრედიტო ზარალი მოცემულ პერიოდში. ისტორიული განაკვეთები კორექტირებულია, რათა აისახოს მიმდინარე და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორები, რომლებსაც გავლენა აქვთ მომხმარებლების შესაძლებლობაზე დაფარონ დარჩენილი რაოდენობა. ჯგუფმა დაადგინა, რომ სფი ინფლაცია და უმუშევრობის მაჩვენებელი საცალო მყიდველისთვის და ლარი/აშშ დოლარის ნომინირებული გაცვლითი კურსი ბიზნეს მომხმარებლებისთვის არის ყველაზე შესაბამისი ფაქტორები და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის მაჩვენებლებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელი ცვლილებებით. მიუხედავად ამისა, საკრედიტო რისკისთვის მოცემული მოკლევადიანი პერიოდის გამო, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში არ იყო მიჩნეული მნიშვნელოვნად

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით ასეთია:

31 დეკემბერი 2023	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	2%	6,468	129
1-დან 2 თვემდე	5%	4,363,381	218,169
2-დან 3 თვემდე	25%	700,447	175,112
3-დან 6 თვემდე	50%	2,161,182	1,080,591
6 თვეზე მეტი	100%	447,534	447,534
სულ		7,679,012	1,921,535

31 დეკემბერი 2022	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	2%	7,680,100	153,602
1-დან 2 თვემდე	5%	21,460	1,073
2-დან 3 თვემდე	25%	54,204	13,551
3-დან 6 თვემდე	50%	145,082	72,541
6 თვეზე მეტი	100%	1,795,038	1,795,038
სულ		9,695,884	2,035,805

გ) ლიკვიდურობის რისკი
ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

31 დეკემბერი 2023	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	საიჯარო ვალდებულებები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
1 წელზე ნაკლები	8,561,124	349,427	26,916,044	35,826,595
1 წელზე მეტი	-	850,377	119,528,578	120,378,955
სულ	8,561,124	1,199,804	146,444,622	156,205,550

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2022	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	საიჯარო ვალდებულებები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტები	სულ
1 წელზე ნაკლები	9,213,168	478,694	39,816,912	49,508,774
1 წელზე მეტი	-	1,539,154	100,377,805	101,916,959
სულ	9,213,168	2,017,848	140,194,717	151,425,733

ლიკვიდურობის რისკის შესაფასებლად, ჯგუფია იყენებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან, განსაკუთრებით კი ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნების შეფასების მიზნით.

29. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

მენეჯმენტი მუდმივად აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გამოისყიდოს საკუთარი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიერ კაპიტალის სახით მართული თანხები საანგარიშო პერიოდებისთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ჯგუფია მეთვალყურეობს კაპიტალს “წმინდა ვალსა” და “კორექტირებულ საკუთარ კაპიტალს” შორის თანაფარდობით.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
წმინდა ვალი		
სესხები	146,444,622	140,247,717
მინუს: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(5,614,136)	(12,564,379)
სულ	140,830,486	127,683,338
კორექტირებული საკუთარი კაპიტალი		
სულ კაპიტალი	(112,456,110)	(117,051,919)
სულ	(112,456,110)	(117,051,919)
წმინდა ვალისა და კორექტირებული საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა	(1.25)	(1.09)

30. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მკვავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მკვავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მკვავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

წლის განმავლობაში ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები.

ა) საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფი აკონტროლებს შპს „აი-ბი-ჯი ჰოლდინგი“, რომელიც ფლობს ჯგუფის წილის 100%. ჯგუფის საბოლოო მკონტროლებელი მხარეები არიან: დავით ხეჩიკაშვილი - 40%, ნიკოლაი ფრეიტაკ - 20%, თამარ გვზავა - 15%, მადონა თამანაშვილი - 10.89%, დავით ფერაძე - 9.11%, სნეჟანა კოტოვა - 5%.

ბ) წლის განმავლობაში ჯგუფი დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და პერიოდის ბოლო ნაშთები.

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

ქართულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ტრანზაქციები		
<i>საბოლოო მშობელი საწარმო</i>		
სესხის კონვერტაცია კაპიტალში	25,143,959	-
საპროცენტო ხარჯი	8,993,593	8,991,852
სესხების დაფარვა	274,750	326,900
მომსახურების ანარიცხი	743	-
შემოსულობა სესხებიდან	-	3,300
სულ	34,413,046	9,322,052
<i>საბოლოო მშობელი საწარმოს მფლობელები</i>		
საქონლის რეალიზაცია	343,299	1,265
საპროცენტო ხარჯი	9,463	28,517
პროცენტის დაფარვა	8,990	26,272
მომსახურების ანარიცხი	2,229	200
სესხების დაფარვა	-	214,861
სულ	363,981	271,115
<i>მშობელი საწარმოს მფლობელები</i>		
საპროცენტო ხარჯი	46,384	32,930
სესხების დაფარვა	29,213	32,930
პროცენტის დაფარვა	14,859	-
მომსახურების ანარიცხი	636	-
სულ	91,092	65,861
<i>ერთობლივი საწარმო</i>		
მომსახურების ანარიცხი	-	60,471
მომსახურების შესყიდვა	-	7,589
სულ	-	68,060
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები</i>		
მომსახურების ანარიცხი	4,542,530	199,106
საქონლის შესყიდვა	1,109,412	2,737,990
გაცემული სესხები	746,075	1,063,338
შემოსულობა სესხებიდან	400,000	365,809
მომსახურების შესყიდვა	165,091	814,196
საპროცენტო შემოსავალი	117,995	38,747
საქონლის რეალიზაცია	14,052	687,894
სესხის ანარიცხი	-	248,850
სულ	7,095,154	6,155,930
<i>სხვა დაკავშირებული მხარე</i>		
სესხების დაფარვა	801,220	1,194,683
სესხის ანარიცხი	534,900	-

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

საპროცენტო ხარჯი	197,652	226,424
პროცენტის დაფარვა	179,031	205,834
საპროცენტო შემოსავალი	160,179	158,423
მომსახურების ანარიცხი	-	55
საქონლის შესყიდვა	-	218,459
სულ	6,208,934	3,250,980

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაშთები		
<i>მშობელი საწარმოს მფლობელები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,454	12,862
მიღებული სესხები	466,611	308,028
სულ	474,065	320,890
<i>საბოლოო მშობელი საწარმოს მფლობელები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	86,612	99,114
მიღებული სესხები	96,818	160,769
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	32,113
სულ	183,431	291,996
<i>საბოლოო მშობელი საწარმო</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14,278	-
მიღებული სესხები	127,637,110	118,908,088
სულ	127,651,388	118,908,088
<i>საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები</i>		
გაცემული სესხები	7,560,114	5,294,838
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	-	30,000
სავაჭრო ვალდებულებები	259,924	535,982
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,176,817	339,674
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	4,446
მიღებული სესხები	2,383,104	3,046,141
სულ	14,379,960	9,251,082
<i>სხვა დაკავშირებული მხარე</i>		
გაცემული სესხები	2,030,277	800,894
მიღებული სესხები	1,904,548	2,198,115
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	35,046	2,486
სულ	3,969,871	3,001,495

გ) ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის ახლო წევრებთან

ჯგუფის დირექტორებს და მათი ოჯახის ახლო წევრებს არ ჰქონდათ შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ მნიშვნელოვანი წილი

**შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)**

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მმართველმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რაც შედის ხელფასების უწყისში და თანამშრომელთა სარგებელში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ხელფასები და ბონუსები	4,984,855	4,534,951
სხვა ბონუსები	36,316	35,408
სულ	5,021,171	4,570,359

31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 თებერვალს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე კომპანიას ჰქონდა ცვლილებები დაკავშირებულ მხარეზე გაცემულ და მიღებულ სესხებში, რომელიც ასახულია ქვემდებარე ცხრილში:

გაცემული სესხები		
დაკავშირებული მხარის დასახელება	პროცენტი	სესხის გაცემა
შპს იბერია ავტო	11.50%	274,262
საფეხბურთო კლუბი საბურთალო	13%	466,000
შპს კავკასიის ავტო ცენტრი	13.10%	34,250
შპს ნიუ ინვესტი	11%	81,000
შპს საერთაშორისო სალიზინგო კომპანია	11%	191,180
სულ		1,046,692

მიღებული სესხები		
დაკავშირებული მხარის დასახელება	პროცენტი	სესხის მიღება
შპს იბერია ავტო ცენტრი	11.50%	5,797,116
შპს კავკასუს მოტორსი	11.50%	598,412
შპს რეინვესტი	10%	320,000
შპს რეინვესტი (ახალი ხაზი)	14%	5,200
სულ		6,720,728

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებთ რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2025 წლის 25 თებერვალი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის აქციონერებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, მიმოვიხილოთ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისა და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, კონსოლიდირებული მმართველობისა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შედარებითა და თანხვედრის განსაზღვრით, ასევე იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რომლებიც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე:

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გ და ზ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

- ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რომლებიც დაგვარწმუნებდა, რომ კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში არ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2025 წლის 25 თებერვალი





მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის შედეგების მიხედვით

I. გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

IBG გამოცდილი, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. იბერია ბიზნეს ჯგუფის სახელისა და რეპუტაციის გამო, IBG-მ შეძლო და თავი მოუყარა უმაღლესი კალიბრის მენეჯერებსა და თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობენ სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2023 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

იბერია ბიზნეს ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2024 წელშიც.

იბერია ბიზნეს ჯგუფის გენერალური დირექტორი

დავით გოგორიშვილი _____



მმართველობითი ანგარიშგება
2023 წლის შედეგების მიხედვით

I. გენერალური დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

IBG გამოცდილი, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. იბერია ბიზნეს ჯგუფის სახელისა და რეპუტაციის გამო, IBG-მ შეძლო და თავი მოუყარა უმაღლესი კალიბრის მენეჯერებსა და თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობენ სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2023 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

იბერია ბიზნეს ჯგუფის მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2024 წელშიც.

იბერია ბიზნეს ჯგუფის გენერალური დირექტორი

დავით გოგორიშვილი


იბერია ბიზნეს ჯგუფის მოკლე ისტორია (IBG)

იბერია ბიზნეს ჯგუფის (IBG) სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და არის საქართველოს საავტომობილო ბიზნესის ძირითადი მოთამაშე. ჯგუფის ოპერირების ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები. IBG ახორციელებს თავის ოპერაციებს სხვადასხვა შვილობილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მეშვეობით, რომლიდანაც პირველი, შპს იბერმობილი, დაარსდა 1999 წელს.

კომპანიას გაააჩნია მაღალი დონის ბრენდების მართვის შეუდარებელი გამოცდილება. IBG-ის (<http://www.ibg.ge>) პორტფელი მოიცავს (ან/და ფლობს აქციებს) ისეთ ცნობილ ავტობრენდებს (სადისტრიბუციო და სადილერო), როგორიცაა: Volkswagen, Mitsubishi, Audi.

IBG კორპორატიული სტრუქტურა

იბერია ბიზნეს ჯგუფის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ყველა კომპანია, იურიდიულად დამოუკიდებელი, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე, შვილობილი კომპანიებია. ისინი ერთნაირი პრივილეგიებით და პასუხისმგებლობებით საგებლობენ. თითოეულ კომპანიას აქვს საკუთარი მენეჯმენტი ოპერაციების დონეზე, ხოლო ბექ ოფისის ფუნქციებს მთლიანად თავის თავზე იღებს იბერია ბიზნეს ჯგუფი. იბერია ბიზნეს ჯგუფში განსაზღვრულია კორპორატიული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს შვილობილი კომპანიების კონტროლსა და მონიტორინგს, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.



ჯგუფში შემავალი კომპანიების და მათი საქმიანობის მიმოხილვა

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი

შპს იბერია ბიზნეს ჯგუფი დაფუძნებიდან 2021 წლის პირველ კვარტალამდე წარმოადგენდა კომპანიას, რომელიც ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის ეწეოდა მომსახურებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კატეგორიების მიხედვით არასრული ჩამონათვალი გამოიყურება შემდეგნაირად:

1. ადამიანური რესურსების მართვის მომსახურება;
2. იურიდიული მომსახურება;
3. კომპიუტერული და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მომსახურება;
4. მომსახურება საბაჟო პროცედურების და ტვირთების გადაადგილებასთან დაკავშირებით;
5. სამეურნეო და კურიერული მომსახურება;
6. მარკეტინგული და სარეკლამო მომსახურება;
7. ფინანსური მომსახურება;
8. სხვა დანარჩენი ;

ჯგუფში შემავალ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა 126 ადამიანს შეადგენს. 2023 წლიდან შპს იბერია ბიზნეს ჯგუფის როგორც ცალკე მდგომი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წილების მართვა და საინვესტიციო პორტფელის ეფექტური ოპერირება. 2022-2023 წლებში კომპანიამ ზემოთვლილი სერვისებზე მომუშავე პერსონალის კონკრეტულ კომპანიებში გაფორმება მოახდინა, ხარჯების ალოკაციის უფრო დახვეწილი მოდელისთვის.

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იბერია ტექ ავტომოტივი (ITA) დაარსდა 2007 წელს



და რეგისტრირებულია საქართველოში. ITA არის იბერია ბიზნეს ჯგუფის (IBG) ნაწილი. კომპანია ყიდის ძირითადად მაღალი ხარისხის ავტონაწილებს და საპოხ საშუალებებს, სადაც ნდობის და ხარისხის კუთხით ერთ-ერთი ლიდერია ბაზარზე. კომპანიის ოფისი მდებარეობს თბილისში.

ITA არის ცნობილი ევროპული და სხვა ბრენდების (*Continental, General, Barum, BOSCH, FEBI, BILSTEIN, KAVO, JURID, TRUCKTEC, HANS PREIS, WAHLER, BANNER, MEGATEX, ROMBAT, ELF, Mobil, Lotos MAG-1*) ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში.

კომპანია დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც ახორციელებენ ავტოსათადარიგო ნაწილების, საბურავების, აკუმლატორების, საცხებ-საპოხი მასალების, საავტომობილო აქსესუარების და ავტოქიმიური პროდუქციის იმპორტს.

დღეის მდგომარეობით იტა კარგად არის წარმოდგენილი საბითუმო და სადისტრიბუციო ბაზარზე (მაგ.: ზეთები, აკუმულატორები, საბურავები).

შპს იბერია ავტო ცენტრი

შპს იბერია ავტო ცენტრი (IAC) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IAC არის ევროპული ბრენდის, AUDI-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.



წლიდან წლამდე კომპანია ორიენტირებულია ძირითადად საცალო რეალიზაციის ზრდაზე, აღნიშნულ მიზანს იბერია ავტო ცენტრი მკვეთრი ზრდით ასრულებს, რაც პირველ რიგში კმაყოფილი მომხმარებლების და შეთავაზებული სერვისების ხარჯზე აღწევს.

შპს კავკასუს მოტორსი

იბერია ბიზნეს ჯგუფი ამ კომპანიის მეშვეობით ფლობს მიცუბიშის ბრენდს. 2007 წლიდან მიცუბიში მოტორსის წარმომადგენელი საქართველოში იყო შპს "იბერია ავტო ლენდი", რომელიც 2019 წელს შეერწყა კავკასუს მოტორს.

მიცუბიში მოტორსის ცენტრი სთავაზობს მომხმარებელს ცნობილი იაპონური ბრენდის, როგორც უახლესი ავტომობილების სრულ სამოდელო რიგს, ასევე ორიგინალ ავტონაწილებს, ავტომეკეთებისა და ტექნომსახურების ცენტრს.



შპს კავკასიის ავტო ცენტრი - რუსთავის ავტობაზრობა



რუსთავის ავტობაზრობაზე განთავსებულია საბაჟო ტერმინალი და სასტუმრო, რომელსაც მართავს და აკირავებს მოცემული კომპანია. წარმადობა: დაახლოებით 2,000,000 ავტომობილის მომსახურება.

შპს იბერია ავტო

შპს იბერია ავტო (IA) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში. IA არის ევროპული ბრენდის, Volkswagen-ის, ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ფლობს ავტომობილების საჩვენებელი დარბაზს და სერვის-ცენტრს.



საავტომობილო გაყიდვები გამყარებულია, გარანტირებული მაღალი ხარისხის მომსახურების ცენტრით. იბერია ავტოს მომხმარებელთა შორის, ძლიერი კონცენტრაცია მოდის, როგორც საცალო სეგმენტის ასევე ქალაქის და სახელმწიფო უწყებებზე.

კომპანიის გაყიდვების ძირითადი წილი უკავია კორპორატიულ სეგმენტს.

იბერია ბიზნეს ჯგუფის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2023 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი	156,851,322	156,481,960
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(129,929,322)	(134,782,995)
საერთო მოგება	26,922,000	21,698,965
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,707,295)	(10,449,530)
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	(1,077,346)	(391,201)
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	114,269	(1,520,099)
ფინანსური შემოსავალი	922,693	847,591
ფინანსური ხარჯი	(11,632,137)	(15,612,552)
შემოსავალი/ზარალი ერთობლივ საწარმოში ინვესტიციებიდან, წმინდა	2,656,796	2,960,339
ერთობლივ საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურება	(3,448,307)	-
არასაოპერაციო შემოსავალი	3,456,696	2,932,705
არასაოპერაციო ხარჯი	(2,872,880)	(2,979,451)
მოგება/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	289,238	1,918,574
მოგება დაბეგვრამდე	4,623,727	(594,659)
მოგების გადასახადის ხარჯი	(27,918)	-
წმინდა მოგება/ზარალი	4,595,809	(594,659)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	4,595,809	(594,659)
წმინდა მოგება/ზარალი მიკუთვნებული მშობელი ჯგუფის მფლობელებზე	5,030,111	31,489
წმინდა მოგება/ზარალი მიკუთვნებული არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	(434,303)	(626,148)

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,577,213	1,263,306
აქტივის გამოყენების უფლება	1,049,231	1,698,925
არამატერიალური აქტივები	47,600	22,117
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში	-	7,530,764
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	8,181,745	8,925,016
სულ გრძელვადიანი აქტივები	10,855,789	19,440,128
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10,182,300	4,464,665
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,248,176	6,707,863
გადახდილი ავანსები	11,985,264	15,228,827
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	5,938,250	2,219,769
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა	1,202,854	718,689
ფული და ფულადი ექვივალენტები	5,614,136	12,564,379
სულ მიმდინარე აქტივები	48,170,980	41,904,192
სულ აქტივები	59,026,769	61,344,320
კაპიტალი და ვალდებულებები		
საწესდებო კაპიტალი	12,202,483	12,202,483
გაუნაწილებელი მოგება	(123,239,869)	(128,269,981)
არამაკონტროლებელი წილი	(1,418,724)	(984,421)
სულ კაპიტალი	(112,456,110)	(117,051,919)
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	850,377	1,539,154
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები	112,272,044	91,670,676
საბანკო სესხები	7,256,534	8,707,129
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	120,378,955	101,916,959
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,561,124	9,213,168
საიჯარო ვალდებულებები	349,427	478,694
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი	20,662,626	36,363,051
საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი	6,253,418	3,453,861
მიღებული ავანსები	14,721,891	26,656,319
საგადასახადო ვალდებულებები	555,438	314,185
სულ მიმდინარე ვალდებულებები	51,103,924	76,479,280
სულ ვალდებულებები	171,482,879	178,396,239
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	59,026,769	61,344,320

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2022 (%)	2023 (%)
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	49%	74%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	55%	94%
ფინანსური ლევერიჯი	291%	291%

2023 წელს კომპანიამ გააუმჯობესა ლიკვიდურობის მაჩვენებლები, რაც მის გამართულ მუშაობაზე მიუთითებს. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა მიუთითებს, რომ კომპანია სწრაფად იხადის მოკლევადიან ვალდებულებებს. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ზრდა ასევე მიუთითებს კომპანიის გამართული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კომპანიის გააუმჯობესა მიმდინარე ვალდებულებების მართვა. ფინანსური ლევერიჯის უცვლელობა ნიშნავს, რომ კომპანიას არ აქვს ახალი სესხები ან ვალდებულებები, რაც მის ფინანსურ სტაბილურობაზე მიუთითებს.

ჯგუფის რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2022	2023
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	1%	4%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	-1%	8%

საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ზარდა მიუთითებს, რომ კომპანია უფრო მეტად და ეფექტიანად იყენებს კაპიტალს შემოსავლების გენერაციისათვის. ხოლო ერთიანი აქტივების რენტაბელობის ზრდა (ROA) მიანიშნებს, რომ კომპანია შეძლო გააუმჯობესოს თავისი აქტივების ეფექტიანობა და უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს აღნიშნული აქტივებისგან. 2022 წელს ნეგატიური რენტაბელობა მიუთითებდა აქტივების გამოყენების ნაკლზე, მაგრამ 2023 წელს ეს მნიშვნელოვანად შეიცვალა. აქედან გამომდინარე ROE-ის და ROA-ის ზრდა აჩვენებს, რომ კომპანიამ შეძლო ეფექტურად გაეუმჯობესებინა თავისი ფინანსური მდგომარეობა და განეახლებინა თავისი შემოსავლების გენერაციის სტრატეგიები.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა

ჯგუფს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული აქვს საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა გათვლილია სამ წელიწადზე. მასში მოყვანილი მონაცემები მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ საპროგნოზო და ეყრდნობა გასული წლის არსებულ მონაცემებსა და კომპანიაში დაგეგმილ აქტივობებს. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებები - ნარჩენების შემცირება / მინიმიზაცია ან ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია გულისხმობს ნარჩენების შემცირებას წარმოქმნამდე. ხშირად ზედმეტი ნარჩენის წარმოქმნა ხდება რესურსების არაეფექტიანი გამოყენების ან ცუდი დაგეგმვის შედეგად. ნარჩენების მინიმიზაცია რეალურად ამცირებს იმას, რასაც ჩვენ გამოვიყენებთ და შესაბამისად, ნარჩენს, რომელსაც წარმოვქმნით. ნარჩენების შემცირებას ჯგუფში შემავალი კომპანიები აღწევენ სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგალითად: ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა.

ნარჩენების მართვა კომპანიაში ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯამრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უსაფრთხო მმართვეის პროცესის მოიცავს:

- ნარჩენების იდენტიფიკაცას მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებული შეგროვებას, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვით, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;

➤ ნარჩენების ტრანსპორტირება ისეთი ფორმით, რომ გმორიცხულ იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება

➤ ნარჩენების რაოდენობის შემცირება

➤ ნარჩენების მეორადი გამოყენება

➤ ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

➤ ნარჩენების, სერვის-ცენტრში დროებით (შემდგომ ტრანსპორტირებამდე) დასაწყობება-შენახვისათვის გამოყოფილი ადგილის პერიოდული მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა;

დამატებით კომპანიამ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი. რომლის ძირითადი მოვალეობებია:

- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის მომზადება და გაახლება
- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის განხორციელების ორგანიზება
- ✓ ნარჩენების მმართვეის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება

კომპანიის მომსახურე პერსონალს ეტაპოვრივად, განახლებად რეჟიმში უტარდება ტრენინგები ზოგადად ნარჩენების მმართვეის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ნარჩენების დროებით დასაწყობება/შენახვის მეთოდების, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესახებ.

საკადრო პოლიტიკა

ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესი ჯგუფში მიმდინარეობს ყოველი წლის მეოთხე კვარტალში. ამ მიზნით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი აკეთებს საშტატო ერთეულების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს ოპტიმიზაციის გეგმას, განსაზღვრავს ახალი კადრების საჭიროებას.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2023 წელს ჯგუფს კვლევებისა და განვითარების სფეროში დამატებით ღონისძიებები არ ჩატარებია.

ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, ინდუსტრიული ზეთები და სითხეები, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და საბურავები.

ჯგუფის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ქვეყანაში ამ დროისათვის საავტომობილო ბაზრის რეგულაციების არ არსებობა. სამომავლოდ სახელმწიფომ შესაძლებელია მიიღოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც საავტომობილო წარმოების ადგილობრივი ბაზრის შექმნას შეუწყობს ხელს, რაც ზიანს მოუტანს იმპორტიორ კომპანიებს.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლასთან. საანგარიშო პერიოდში საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებას, რომელმაც ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ჰქონდა ზეგავლენა, წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით დივიდენდების სახით მოგების განაწილების შემთხვევაში და ცვლილება, რომლის თანახმადაც კომპანია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსიდან.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში ჯგუფი ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი - ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. ჯგუფი არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

ჯგუფს გააჩნია ფინანსური სამსახური/დეპარტამენტი –სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშვალდებულია ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას. ამასთან, დაწესებულების ფინანსური სამსახური/დეპარტამენტი ხელმძღვანელებისგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ანგარიშს, რომელიც წარედგინება ჯგუფში შემავალი კომპანიის თითოეულ ხელმძღვანელს და დირექტორს;

ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომპანიის ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, ისე ჯგუფის ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა. ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ანგარიშგების პროცესი ორ დონეზე ხორციელდება:

ა) ქვედა დონეზე – ანგარიშის წარდგენა თითოეული კომპანიის ხელმძღვანელთან და მისი ანალიზი;

ბ) ზედა დონეზე - ანგარიშგების, ბიუჯეტთან მისი შედარების, ნაღდი ფულის მოძრაობის და ლიკვიდურობის ანალიზი მთლიან ჯგუფზე ჯგუფის მმართველ კომპანიის იბერია ბიზნეს ჯგუფის უმაღლეს მენეჯმენტთან რომელიც, თავის მხრივ, ახდენს შედეგებიდან გამომდინარე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

ანგარიშგება ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) ყოველკვირეულად (მიმდინარე გაყიდვების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი)

ბ) ყოველთვიურად (თვის ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტთან შედარების, გაყიდვების, ფულის მოძრაობის და საპროგნოზო ოპერაციების ანალიზი)

გ) კვარტალურად (ყველა ბ კატეგორიაში აღნიშნულ ანალიზთან ერთად ჯგუფის პერსპექტივების ანალიზი, სვოტ ანალიზი, მიმდინარე კოეფიციენტების, ბრუნვადობის ანალიზი და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივების და რისკების ანალიზი);

დ) წლიურად (ბ და გ პუნქტში აღნიშნული საკითხებისგან დამატებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა, გასული წლის დეტალური ანალიზი, ახალი მიზნების ჩამოყალიბება და მოცემული მიზნების მიღწევის გეგმის შედგენა).

აღნიშნული სახით ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში აღმოჩენილი იქნას ფინანსური რისკები ან და ბიზნესის პერიოდული რყევები დაგეგმილ ბიუჯეტთან

მიმართებაში. მოცემული გარემოებების დადგენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატიური ანგარიშგების წარდგენით ჯგუფი ეფექტურად ოპერირებს ბიუჯეტით დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ჯგუფის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, პარტნიორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე ჯგუფის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

ჯგუფი მიმდინარე პერიოდში ძირითადად საკრედიტო ვალდებულებების ნაწილში იყენებს მოკლევადიან დაფინანსებებს, რომლის მიზნობრიობაც წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების, უმეტესად ავტომობილების შეძენა. საკრედიტო ლიკვიდურობა პირდაპირ კავშირშია მოცემული საბრუნავი საშუალებების რეალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის წყარო არის ამავე კრედიტით შეძენილი ავტომობილების რეალიზაცია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკვეთებს, შეკვეთის განთავსება ხდება როგორც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (კორპორატიული კლიენტი), ასევე ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (სადავო კლიენტი). ხელშეკრულებით გამყარებულ ნაწილში როგორც წესი ფულის ლიკვიდურობის რისკი ფაქტურად არ არსებობს. რაც შეეხება ხელშეკრულების გარეშე არსებულ შეკვეთებს, მოცემულ შემთხვევებში ჯგუფში შემავალი კომპანიები აკეთებენ არჩევანს სტატისტიკაზე დაყრდნობით, სადაც პრიორიტეტი მინიჭებულია სწრაფად რეალიზებად პროდუქციაზე. როგორც წესი მარაგის რეალიზაციის ციკლი მერყეობს 3-6 თვის შორის. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ვადების დარღვევის რისკი, ჯგუფში შემავალი კომპანიები მოცემული ვადის გასვლამდე სხვადასხვა აქციებით და ფასდაკლებებით ახდენენ მის დაზღვევას/მინიმუმამდე დაყვანას.

ჯგუფში შემავალი კომპანიები ავტომობილების რეალიზაციას უმეტესად კონსიგნაციის გარეშე ახდენენ, რაც ნაღდი ფულის ბრუნვის რისკს თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, კომპანიის სტაბილური საოპერაციო საქმიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ ჯგუფში შემავალი კომპანიები ლიკვიდურობის მაღალი რისკის წინაშე არ დადგნენ.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის შპს “არ-ეს-ემ საქართველოს“ მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.